ა(ა)იპ **დემოკრატიის ინდექსი – საქართველო**
ს/კ – 405337764
მის: თბილისი, ზესიკის ქ. N4 , 0105

+995 577 07 05 77
democracyindexgeorgia@gmail.com
@DemocracyIndex

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ არჩილ თალაკვაძეს

განცხადება

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე პარლამენტის წევრთა პროფილის დამუშავების შესახებ რეკომენდაცია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 201-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ განცხადებით, რათა განიხილოთ რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე პარლამენტის წევრის პროფილის დამუშავების შესახებ და პასუხი გვაცნობოთ რეგლამენტის ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე საპარლამენტო საქმიანობის ამსახველი არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავსდება. დროთა განმავლობაში, აღნიშნული პროცესი თანდათან უმჯობესდება (ბოლო წლებში გაცილებით მეტი სახის ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდზე, ვიდრე მანამდე). გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, პარლამენტის სრულიად ახალი ვებგვერდი მზადების პროცესშია [1] , სადაც კიდევ უფრო დახვეწილი ფორმით და კიდევ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია განთავსდება, რაც დაინტერესებულ პირს გაუმარტივებს პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის რეგულარული განთავსება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის შესახებ, ღია მმართველობის, დემოკრატიული წესრიგისა და ადამიანის უფლებების დაცვის ფუნდამენტური ელემენტია.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია უკვე ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე, მაინც არსებობს ერთ-ერთი ძირითადი ხაზი ინფორმაციის გამოქვეყნების მიმართულებით, რომელიც დასამუშავებელია. ეს არის პარლამენტის თითოეული წევრის საპარლამენტო საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია, რომელიც ამომრჩეველს მისცემს შესაძლებლობას, გაეცნოს ნებისმიერი პარლამენტარის მიერ გაწეულ საქმიანობას უშუალოდ მის პროფილზე შესვლით.

---

[1] ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2019 წლის საქმიანობისა და ღია პარლამენტის მესამე (2018-2019 წლების) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2019 წელი, გვ.5 <http://www.parliament.ge/uploads/other/133/133166.pdf> [7/5/2020 14:31]

დღესდღეობით პარლამენტის ვებგვერდზე, პარლამენტის წევრთა პირად გვერდზე არსებული ინფორმაცია არის მწირი. გამოქვეყნებული მონაცემები არ გვაძლევს დეპუტატის საქმიანობის შესახებ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია მის საპარლამენტო საქმიანობასთან თუ შემოსავლებთან. დეპუტატის პირადი გვერდი მოიცავს მხოლოდ ბიოგრაფიულ და საკონტაქტო ინფორმაციას, აგრეთვე, შემოიფარგლება იმის მითითებით, თუ რომელ ფრაქციაში, კომიტეტში ან სამუშაო ჯგუფში იყო ან არის გაწევრიანებული. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, თუ რას საქმიანობდა დასახელებულ ჯგუფებში, საერთოდ არ არის გამოქვეყნებული, ნაწილი აღნიშნული ინფორმაციისა გაბნეულია ვებგვერდის სხვა და სხვა სივრცეში. დაინტერესებულ პირს უწევს ყოველი კონკრეტული კანონის თუ დადგენილების ინიციატორთა და ავტორთა შემოწმება, აგრეთვე, პლენარული, საკომიტეტო, კომისიების, სამუშაო და სხვა სხდომების მთლიანი ჩანაწერების თვალყურის დევნება, რომელთა დახარისხება არ ხდება მონაწილე დეპუტატთა მიხედვით და საარქივო პერიოდი შეზღუდულია 1 თვის ვადით (გარდა პლენარული სხდომების სტენოგრამებისა).[2] მსგავსად, პარლამენტის წევრის პირად გვერდზე არ ქვეყნდება ფინანსური ხარჯები. ვებგვერდის მომხმარებელს უწევს პარლამენტის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ ყოველ ფინანსურ დოკუმენტებში სასურველი დეპუტატის შესახებ მონაცემის მოძიება. ხოლო დეკლარაციები, არათუ ინტეგრირებული არ არის, არამედ ვებგვერდი მათი გამოქვეყნების ადგილის მისამართსაც არ უთითებს.[3]

პარლამენტის წევრი არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. მის საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების ინტერესი მაღალია. პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს გამჭირვალობა და კონსოლიდირებულად გამოაქვეყნოს პარლამენტის წევრთან დაკავშირებით ყველა ის ინფორმაცია და მონაცემი, რაც დაეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეს სრული სურათი იმის შესახებ, თუ რას საქმიანობს ესა თუ ის პარლამენტის წევრი ინდივიდუალურად საკანონმდებლო ორგანოში.

ჩვენმა ორგანიზაციამ შეისწავლა იმ ქვეყნების პარლამენტთა ვებგვერდები, რომლებიც დემოკრატიის წარმატებული გამოცდილებით გამოირჩევიან. გამოიკვეთა მინიმალური სტანდარტი, რასაც საზოგადოებასთან ანგარიშვალდებული პარლამენტის ვებგვერდი უნდა აკმაყოფილებდეს. ეს სტანდარტი მოიცავს პარლამენტის წევრის პირად გვერდზე განთავსებულ შემდეგი ტიპის ინფორმაციას: პარლამენტის წევრის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო თუ სხვა აქტები; პარლამენტის წევრის წერილობითი კითხვები და მიღებული პასუხები; მის მიერ პლენარულ, საკომიტეტო და კომისიების სხდომებზე სიტყვით გამოსვლის ვიდეო ჩანაწერები; მათი მონაწილეობის ამსახველი ამონაწერი სხდომებიდან; მინისტრის საათზე მის მიერ დასმული კითხვების ვიდეოჩანაწერები; ინტერპელაციის წესით დასმული კითხვები და მიღებული პასუხები

---

[2] იგულისხმება პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის კატეგორიაში „არქივი" განთავსებული სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, რომლის ხანგრძლივობის მაქსიმალური პერიოდი 1 თვემდე ვადით არის შეზღუდული <https://bit.ly/3dBZRgD> [7/5/2020 14:31]

[3] მაგალითისთვის იხილეთ პარლამენტის წევრი აბესაძე ირაკლის პროფილი საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე, <http://parliament.ge/ge/mp/5641 > [7/5/2020 14:31]

და პარლამენტის წევრთან დაკავშირებული ფინანსური მონაცემები (მათ შორის, მიღებული საჩუქრები).

ქვემოთ ილუსტრირებულია თითოეული შესწავლილი პარლამენტის ვებგვერდის პარლამენტის წევრის პირად გვერდზე განთავსებული ინფორმაცია:

ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის ვებგვერდი:[4i]

ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის ვებგვერდი გვაძლევს შესაძლებლობას მომხმარებელმა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობა დააჯგუფოს ასაკის, სქესის, პარტიული კუთვნილების, საპარლამენტო მანდატის ხანგრძლივობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პარლამენტი წევრის პირად გვერდზე მოცემულია ინფორმაცია:

- ✓ ბიოგრაფიული მონაცემები - დაბადების თარიღი და ადგილი, მანდატის ხანგრძლივობა, დევიზი, მისი პოზიცია პარლამენტის წევრის ნდობასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, განათლება;
- ✓ დამატებითი აქტივობები - დაკავებული პოზიციები, გარდა პარლამენტის წევრობისა, მიღებული საჩუქრები და მოგზაურობის შესახებ ინფორმაცია;
- ✓ პერსონალური გვერდები - ელ. ფოსტა, Facebook, Twitter;
- ✓ წერილობით დასმული კითხვები - დახარისხებული თარიღის მიხედვით, მითითებულია თითოეული კითხვის შინაარსი და ადრესატი, კითხვაზე გადასვლის შემდგომ შესაძლებელია კითხვის PDF ვერსიის გადმოწერა, თანაავტორების ნახვა და წერილობითი პასუხის გვერდზე გადასვლა;
- ✓ ზეპირად დასმული კითხვები - დახარისხებული თარიღის მიხედვით, მითითებულია თითოეულ კითხვაზე შინაარსი და ადრესატი, კითხვაზე გადასვლის შემდგომ შესაძლებელია კითხვის PDF ვერსიის გადმოწერა;
- ✓ საკანონმდებლო ცვლილებები - დახარისხებული თარიღის მიხედვით, მითითებულია თითოეული ცვლილების პროექტის სათაური, ცვლილებაზე გადასვლის შემდგომ შესაძლებელია ცვლილების შესახებ კენჭისყრის შედეგებისა და სიახლეების ნახვა;
- ✓ წარდგინება (motion) - დახარისხებულია თარიღების მიხედვით, მითითებულია წარდგინების სათაური, ავტორები, შედეგი (მიღებულია თუ უარყოფილი და რამდენი ხმით), კონკრეტულ წარდგინებაზე გადასვლის შემდგომ შესაძლებელია წარდგინების ტექსტის PDF ვერსიის გადმოწერა, თანაავტორებისა და მის შესახებ სიახლეების ნახვა;
- ✓ კომისიები - რომელ კომისიებში, კომიტეტებში და სხვა ჯგუფებში არის გაწევრიანებული.[5]

---

[4] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.tweedekamer.nl/> [7/5/2020 14:32]

[5] შედარებისთვის იხილეთ პარლამენტის წევრი ტიერი არსტენის პროფილი ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის ვებგვერდზე < https://bit.ly/3cgbut9> [7/5/2020 14:33]



<u>ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი:</u>[6]

ავსტრიის სამეფოს პარლამენტის ვებგვერდი შესაძლებლობას იძლევა პარლამენტის წევრების მოძებნას მათი სხდომის დარბაზში ადგილის მიხედვით. კონკრეტული პარლამენტის წევრის შერჩევის შემდგომ, პერსონალური გვერდის ზედა ნაწილში მითითებულია ინფორმაცია მისი სახელის, პარტიის, საარჩევნო ოლქის და ფრაქციის შესახებ.

ქვედა სივრცეში მოცემულია პარლამენტის წევრის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ ზოგადი მიმოხილვა - დაბადების თარიღი, პროფესია, მანდატების რაოდენობა, განათლება, სამუშაო გამოცდილება;
- ✓ ფოტოები;
- ✓ კომიტეტები - პარლამენტის წევრი რომელ კომიტეტებში არის წარმოდგენილი და რა სტატუსით, აგრეთვე, ინფორმაცია წინა მოწვევის პარლამენტის მანდატის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ პლენარული სხდომები - იმ სხდომების ვიდეო ჩანაწერი და ამონაწერი, რომელზეც სიტყვით გამოსვლის უფლებით ისარგებლა პარლამენტის წევრმა მითითებული სხდომის თარიღის მიხედვით, აგრეთვე, იდენტური ტიპის ინფორმაცია წინა მოწვევის

[6] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.parlament.gv.at/> [7/5/2020 14:31]

პარლამენტის მანდატის არსებობის შემთხვევაში. ჩანაწერზე გადასვლის შემდგომ შესაძლებელია იმავე სხდომაზე სხვა პარლამენტის წევრთა სიტყვით გამოსვლის ნახვა;

- ✓ ადგილი - რომელი ადგილი არის განკუთვნილი პარლამენტის წევრისთვის პლენარულ სხდომათა დარბაზში;
- ✓ გამჭირვალობა - მის მიერ დაკავებული თანამდებობები, საჩუქრები, შემოსავალი და სხვა მიღებული სარგებელი დახარისხებული წლების მიხედვით, მომხმარებლისთვის შესაძლებელია ამობეჭდვა მის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაციების.[7]



[7] შედარებისთვის იხილეთ პარლამენტის წევრი დოქტორი სუზანე ფურსთის პროფილი ავსტრიის სამეფოს პარლამენტის ვებგვერდზე <https://bit.ly/35EDdBi> [7/5/2020 14:31]



კანადის თემთა პალატის ვებგვერდი:[8]

კანადის პარლამენტის წევრთა საწყის გვერდზე შესაძლებელია პარლამენტის წევრები დააჯგუფოს საარჩევნო ოლქის, სქესისა და პარტიის მიხედვით.

პარლამენტის წევრის პირადი გვერდის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია მისი პარტიის, საარჩევნო ოლქის, პროვინციისა და სასაუბრო ენის შესახებ. მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაყოფილია 3 ნაწილად:

- ✓ როლები - ინფორმაცია პარლამენტის წევრი თუ რომელ კომიტეტებში არის წარმოდგენილი და რა სტატუსით, აგრეთვე, მითითებულია ლინკი, რომელზეც გადასვლის შემთხვევაშიც პარლამენტის წევრის კომიტეტებში წევრობის სრული ისტორიაა აღრიცხული;
- ✓ საქმიანობა
  - პალატის სხდომებზე გამოსვლის ვიდეო ჩანაწერები შესაბამისი სხდომის ამონაწერებით, მითითებულია სხდომის სახე, თარიღი და საკითხი;
  - საკომიტეტო სხდომებზე გამოსვლის ვიდეო ჩანაწერები შესაბამისი სხდომის ამონაწერებით, მითითებულია სხდომის თარიღი, ნომერი და კომიტეტი;
  - მიმდინარე სესიაზე წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც დახარისხებულია იმის მიხედვით, მხოლოდ მის მიერ არის წარმოდგენილი თუ თანაავტორობით;

[8] ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://www.ourcommons.ca/en> [7/5/2020 14:31]

- წარდგინებები, რომლებიც დახარისხებულია იმის მიხედვით, მხოლოდ მის მიერ არის წარმოდგენილი თუ თანაავტორობით;
- პალატის სხდომებზე განხილული საკითხების პოზიცია, რა საკითხებს დაუჭირა ან არ დაუჭირა მხარი, სხდომის თარიღის, საკითხისა და კენჭისყრის შედეგის მითითებით.

✓ საკონტაქტო ინფორმაცია - ელ. ფოსტა, ვებგვერდი, საპარლამენტო ოფისისა და საარჩევნო ოლქის ოფისის მისამართები და საკონტაქტო ნომერები.

ვებ. გვერდზე, დამატებით მოცემულია პარლამენტის წევრის ადგილი პალატის სხდომის დარბაზში, პარლამენტის წევრის ხარჯების შესახებ ანგარიშის ლინკი, რომელზე გადასვლითაც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდება პარლამენტის წევრის მთლიანი ფინანსური ანგარიშგება, მათ შორის, შემოსავლები, საჩუქრები, მგზავრობის ხარჯები, ოფისის ხარჯები და სხვ.[9]



[9] შედარებისთვის იხილეთ პარლამენტის წევრი დოქტორი ქრის ბითლის პროფილი კანადის პარლამენტის ვებგვერდზე <https://bit.ly/35EDdBi> [7/5/2020 14:31]





აშშ-ს კონგრესის ვებგვერდი:[10]

აშშ-ს კონგრესის საწყისი ვებგვერდი შესაძლებლობას იძლევა კონგრესმენები დააჯგუფოს პალატის, პარტიის და საარჩევნო ოლქის მიხედვით. შემდგომ, პერსონალურ გვერდზე გადასვლისას, ზედა ნაწილში წარმოჩენილია პარლამენტის წევრის საკონტაქტო ნომრები და

[10] ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://www.congress.gov/> [7/5/2020 14:31]

მისამართი, პარტია, ვებგვერდი, მანდატის ხანგრძლივობა და საარჩევნო ოლქი. აქედან შესაძლებელია მის ბიოგრაფიაზე გადასვლა, სადაც მიმოხილულია მისი განათლება და სამუშაო გამოცდილება.

პერსონალური გვერდის მთლიანი ქვედა ნაწილი დათმობილია საკანონმდებლო საქმიანობისთვის. მომხმარებელს პარლამენტის წევრის საკანონმდებლო საქმიანობა შეუძლია დაახარისხოს:

- ✓ ავტორობის ან თანაავტორობის მიხედვით;
- ✓ შესაბამისი მოწვევის კონგრესის მიხედვით;
- ✓ საკანონმდებლო აქტის სახის მიხედვით;
- ✓ საკანონმდებლო აქტის განხილვის სტატუსის მიხედვით;
- ✓ საქმიანობის სფეროს მიხედვით;
- ✓ საწყისი პალატის მიხედვით;
- ✓ კომიტეტების მიხედვით.

პერსონალურ გვერდზე გამოტანილ საკანონმდებლო აქტებს ზემოთ დასახელებულ ინფორმაციასთან ერთად თან ახლავს აქტის სათაური, ნომერი, მასთან დაკავშირებით უკანასკნელი აქტივობა და ე.წ. Tracker, რაც მომხმარებელს აძლევს ინფორმაციას თუ განხილვის რა ეტაპზეა აქტი.

პერსონალურ გვერდზე განთავსებულია დამატებით ორი ლინკი, რომელსაც მომხმარებელი გადაყავს, ერთ შემთხვევაში, მის მიერ დაფიქსირებულ პოზიციებზე კონგრესის ჩანაწერებში, მეორე შემთხვევაში, მის მიერ უახლოეს კენჭისყრაზე მიცემულ ხმებზე.

კონგრესის ჩანაწერების ლინკზე გადასვლისას, გახსნილ გვერდზე შესაძლებელია ჩანაწერების დახარისხება პალატის, კონგრესის მოწვევის, წლების მიხედვით. ჩანაწერი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ TXT, არამედ, PDF ვერსიაში. ჩანაწერზე მითითებულია ის შინაარსი, რაზეც კომენტარი გააკეთა კონგრესმენმა, აგრეთვე, შესაძლებელია შინაარსის მიხედვით სხვა ჩანაწერის მოძებნა.

მეორე ლინკზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებელი გადადის კონგრესის კლერკის ვებგვერდზე, სადაც იმავე კონგრესმენის პერსონალური გვერდი იხსნება და ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია თუ რომელ საკანონმდებლო აქტს დაუჭირა მხარი, არ დაუჭირა თუ თავი შეიკავა ხმის მიცემისგან. აგრეთვე, მითითებულია აქტის შესახებ კენჭისყრის საბოლოო შედეგი.[11]

[11] შედარებისთვის იხილეთ კონგრესმენი სტენი ჰოიერის პროფილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ვებგვერდზე <https://bit.ly/3dnGBmI> [7/5/2020 14:31]



შვეიცარიის პარლამენტის ვებგვერდი:[12]

შვეიცარიის პარლამენტის ვებგვერდი შესაძლებლობას იძლევა დააჯგუფოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობა პალატის, საპარლამენტო ჯგუფის, ფრაქციის, კომიტეტის, საარჩევნო ოლქის მიხედვით, ასევე, მოცემულია ყველა ყოფილი და მოქმედი პარლამენტის წევრები. დასახელებული გვერდიდან შესაძლებელია არა მხოლოდ პარლამენტის წევრის პირად გვერდზე გადასვლა, არამედ პირდაპირ მის სიტყვით გამოსვლების, კენჭისყრაზე დაფიქსირებული პოზიციებისა და საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას გაგზავნილი მოთხოვნების გვერდზე გადასვლა.

პირად გვერდზე გადასვლის შემდგ გამოტანილია შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ პერსონალური დეტალები - დაბადების თარიღი და ადგილი, წარმომავლობა, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ელ. ფოსტა;
- ✓ უახლოესი პროცედურული მოთხოვნები - ჩამოთვლილია პარლამენტის წევრის მიერ დასმული კითხვები, მათ შორის, ინტერპელაციის წესით, წარდგინებები, პოსტულატები, საპარლამენტო ინიციატივები და მინისტრის საათის დროს დასმული კითხვები. შესაძლებელია მათ სრულ ჩამონათვალზე გადასვლა, სადაც ეს ყველა აქტივობა

[12] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.parlament.ch/> [7/5/2020 14:31]

მოცემულია თარიღების მიხედვით. კითხვის ან ინიციატივის შერჩევის შემდგომ შესაძლებელია პასუხის ან შედეგის ნახვა;

- ✓ უახლოესი სიტყვით გამოსვლა პალატის სხდომაზე - ჩამოთვლილია პარლამენტის წევრის მიერ პალატის სხდომებზე გამოსვლის თარიღები და საკითხები. შესაძლებელია მათ სრულ ჩამონათვალზე გადასვლა, სადაც შესაძლებელია არა მხოლოდ სასურველი პარლამენტის წევრის სიტყვით გამოსვლის ამონაწერის და ვიდეო ჩანაწერის ნახვა, არამედ სხდომაზე მონაწილე ყველა დეპუტატის. აქვე შესაძლებელია კენჭისყრის დროს მის მიერ დაფიქსირებული პოზიციების ინფორმაციის ნახვის მიზნით ახალ გვერდზე გადასვლა, სადაც ყველა კენჭისყრა არის მოძიებული, რომელთა დახარისხებაც შესაძლებელია პარლამენტის მოწვევის, სესიის, ავტორის, დეპუტატის, პარტიისა და საარჩევნო ოლქის მიხედვით;
- ✓ მიმდინარე საპარლამენტო მანდატი - კომისიები, სადაც გაწევრიანებულია პარლამენტის წევრი;
- ✓ წინა მოწვის პარლამენტი - თანამდებობები, რასაც წინა მოწვევის პარლამენტში იკავებდა პარლამენტის წევრი;
- ✓ პოლიტიკური ფუნქციები - პარლამენტის წევრის პოლიტიკურ გაერთიანებაში თანამდებობა;
- ✓ ინტერესები - წარმოდგენილია ის თანამდებობები და დაწესებულებები, სადაც პარლამენტის წევრი ანაზღაურებად ან არაანაზღაურებად საქმიანობას ახორციელებს;

პარლამენტის წევრის პერსონალური გვერდიდან შესაძლებელია მისი ფრაქციის საპარლამენტო გვერდზე და პარტიის, როგორც საპარლამენტო, აგრეთვე, კერძო ვებგვერდზე გადასვლა. [13]

[13] შედარებისთვის იხილეთ ეროვნული საბჭოს წევრის სიბელ ასლანის პროფილი შვეიცარიის პარლამენტის ვებგვერდზე <https://www.parlament.ch/en/biografie/sibel-arslan/4184> [7/5/2020 14:31]

Sibel Arslan
IN OFFICE

National Council
30/11/2015 –

Bâle-Ville

GROUPE DES VERTS (G)

GRÜNE (BASELS STARKE ALTERNATIVE) (BASTA)

PERSONAL DETAILS

PRINT BIOGRAPHY

Born	23/06/1980 in Erzincan	**Residential address**	Postfach 225 4005 Basel
Place of origin	Bâle (BS)	**E-Mail**	sibel.arslan@parl.ch
Occupation	Juristin		
Title	lic. iur.		

EXPAND ALL

MOST RECENT PROCEDURAL REQUESTS

MOST RECENT SPEECHES IN CHAMBER

CURRENT PARLIAMENTARY MANDATES

საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი:[14]

საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი საფრანგეთის რუკის მეშვეობით შესაბამისი დასახლების წარმომადგენლის მოძებნასა და მის პირად გვერდზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა.

პირად გვერდზე, თავდაპირველად მოცემულია ინფორმაცია პარლამენტის წევრი თუ რომელ კომისიაშია გაწევრიანებული, მისი დაბადების თარიღი და ადგილი, წინამორბედი, საკონტაქტო ელ. ფოსტა და ფინანსური დეკლარაციის ლინკი. დამატებით, ადგილი პლენარული სხდომების დარბაზში, ის პარლამენტის წევრები, რომლებთანაც ის თანამშრომლობს და მისი საარჩევნო ოლქი გამოსახული საფრანგეთის რუკაზე.

დანარჩენი ინფორმაცია დაყოფილია 4 ნაწილად: სიახლეები, ფუნქციები, ისტორია და კონტაქტი.

[14] ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.assemblee-nationale.fr/> [7/5/2020 14:31]

სიახლეები:

- ✓ ვიდეოები - პლენარულ და კომისიების სხდომებში პარლამენტის წევრის სიტყვით გამოსვლის ვიდეოჩანაწერები. ჩანაწერს თან ახლავს ინფორმაცია თარიღისა და განსახილველი საკითხის შესახებ. ჩანაწერის გახსნის შემდგომ იგი იწყება იმ მომენტით, როდესაც შერჩეული პარლამენტის წევრი გამოდის სიტყვით, მაგრამ შესაძლებელია მთელი ჩანაწერის ნახვა, აგრეთვე, გაზიარება სოციალურ ქსელებში: FACEBOOK, Twitter, Instagram;
- ✓ კითხვები - პარლამენტის წევრის მიერ დასმული წერილობითი კითხვები, სათაურის, თარიღის, შინაარსის და საკითხის მითითებით. იქვე შესაძლებელია წერილობით პასუხის გახსნა, თუ პასუხი ჯერ არ არის გაცემული, მომხმარებელს შეუძლია გამოიწეროს კითხვა და პასუხის გაცემის შემთხვევაში ინფორმაცია მიუვა მას მითითებულ ელ. ფოსტაზე;
- ✓ მოხსენებები - პარლამენტის წევრის მიერ გამოქვეყნებული მოხსენებები, თარიღის, ნომერისა და სათაურის მითითებით. შესაძლებელია მთლიანი დოკუმენტის Word ვერსიის გადმოწერა;
- ✓ საკანონმდებლო ინიციატივები (ავტორი) - პარლამენტის წევრის მხოლოდ მის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივები, თარიღის, ნომერისა და მოკლე შინაარსის მიხედვით, შესაძლებელია დოკუმენტის Word ვერსიის გამოწერა;
- ✓ საკანონმდებლო ინიციატივები (თანაავტორი) - პარლამენტის წევრის მიერ სხვა კანონმდებლებთან ერთად ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივები, თარიღის, ნომერისა და მოკლე შინაარსის მიხედვით, შესაძლებელია დოკუმენტის Word ვერსიის გამოწერა;
- ✓ საჯარო სხდომები - პარლამენტის წევრის მონაწილეობით ჩატარებული სხდომები, თარიღების და დღის წესრიგის მითითებით. შესაძლებელია თანდართული Word დოკუმენტის ფორმატში სხდომის ამონაწერის გადმოწერა;
- ✓ კომისიები - პარლამენტის წევრის მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრების ანგარიშები, შესაბამისი კომიტეტის, თარიღისა და დღის წესრიგის მითითებით. შესაძლებელია თანდართული Word დოკუმენტის ფორმატში სხდომის ამონაწერის გადმოწერა;
- ✓ კენჭისყრისას დაფიქსირებული პოზიციები - პარლამენტის წევრის მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიცია, დაუჭირა, არ დაუჭირა მხარი თუ თავი შეიკავა პოზიციის დაფიქსირებისგან. თან ახლავს საკითხის სათაური, კენჭისყრის თარიღი, ინფორმაცია თუ რომელი მოსმენით განიხილეს საკითხი და კენჭისყრის სტატისტიკა ციფრებში და წრიულ დიაგრამაში;
- ✓ კონტრიბუცია.

ფუნქციები:

- ✓ ფუნქციები ეროვნულ ასამბლეაში - რომელი მოწვევის პარლამენტის წევრია. კომისიებში, მისიებში, სამუშაო ჯგუფებში და მეგობრობის ჯგუფებში წევრობის შესახებ ინფორმაცია;

- ✓ ფუნქციები დაკავშირებული დეპუტატის მანდატთან - ინფორმაცია ექსტრასაპრალამენტო ორგანიზაციებში წევრობის შესახებ.

ისტორია:

- ✓ პარლამენტის წევრი თუ რომელ საგამოძიებო, ad hoc და სხვა კომისიებში იყო გაწევრიანებული დეპუტატის მანდატის ფარგლებში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- ✓ ელ. ფოსტა და ვებგვერდი;
- ✓ სოციალური მედია;
- ✓ მისამართები - საპარლამენტო და საარჩევნო ოლქში.[15]

✓



[15] შედარებისთვის იხილეთ პარლამენტის წევრის ლუის ალიოტის პროფილი საფრანგეთის პარლამენტის ვებგვერდზე <https://www.parlament.ch/en/biografie/sibel-arslan/4184> [7/5/2020 14:31]

რეკომენდაციები

საპარლამენტო ცხოვრებაში დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისთვის, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ინდივიდუალური დეპუტატების პასუხისმგებლობის გაზრდას, მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდან მათი წარმომადგენლების ეფექტურ კონტროლს.

ზემოთ განხილული ქვეყნების მაგალითებიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ პარლამენტარის საქმიანობის ასახვა უნდა მოხდეს კომპილაციურად პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებულ უშუალოდ მის პირად გვერდზე, რომელიც ამომრჩეველს შეუქმნის ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას მისი საპარლამენტო საქმიანობის შესახებ. ზემოხსენებული ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ პარლამენტარების საქმიანობა გამჭვირვალედ, თანმიმდევრობით და დინამიურად აისახება მათ გვერდზე და ამით საზოგადოება სრულყოფილად ინფორმირდება არა მხოლოდ ზოგადად, პარლამენტის საქმიანობის, არამედ, უშუალოდ თითოეული პარლამენტარის საქმიანობის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი განცხადება და რეკომენდაციები და განხილვის შედეგები გვაცნობოთ დადგენილ ვადაში:

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს პარლამენტის წევრის პირად გვერდზე შემდეგი ინფორმაციის განთავსება:

1. **პარლამენტის წევრთა საწყისი გვერდი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მომხმარებელმა დააჯგუფოს პარლამენტის წევრები** ასაკის, სქესის, ფრაქციის, კომიტეტის, საპარლამენტო მანდატის ხანგრძლივობისა და სხვა მონაცემის მიხედვით;
2. **პარლამენტის თითოეული წევრის პირად გვერდზე მათი პლენარულ, საკომიტეტო, კომისიების, სამუშაო და სხვა ტიპის სხდომებზე სიტყვით გამოსვლის აუდიო-ვიდეო ჩანაწერები** სრულად უნდა იყოს განთავსებული. უნდა გამოქვეყნდეს არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ, არსებობის შემთხვევაში, წინა მოწვევის პარლამენტის სხდომებზე მათი სიტყვით გამოსვლის ჩანაწერებიც;
3. პლენარული, საკომიტეტო, კომისიების, სამუშაო თუ სხვა ჯგუფებში ვიდეო ჩანაწერების გარდა, **წარმოდგენილი უნდა იყოს სხდომის ის ამონაწერები (Transcripts),** რომლითაც საზოგადოების დაინტერესებულ პირს შეეძლება გაეცნოს პარლამენტის წევრის დასმულ კითხვებს, დაზუსტებებს, გამოთქმულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს ტექსტობრივად;
4. პარლამენტარის პირადი გვერდი, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს **ინფორმაციას საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებით.** ხელმისაწვდომი უნდა იყოს თუ რომელი საკანონმდებლო ინიციატივის, დადგენილების თუ რეზოლუციის ინიციატორია დეპუტატი. მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია სხვა ინიციატორების შესახებ. ინტეგრირებული უნდა იყოს რა ეტაპზეა ინიციატივის განხილვა, ე.წ. მიდევნების (tracking) სისტემა;

5. ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი კატეგორია, საიდანაც შესაძლებელი იქნება ვებგვერდის მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა უშუალოდ **პარლამენტის წევრის წერილობით კითხვებზე** და მიღებულ პასუხებზე, მათ შორის ინტერპელაციის წესით გაგზავნილ კითხვებზე;
6. კრიტიკულად მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრის პირად გვერდზე გამოკვეთილად და ყოველდღიური განახლებით ჩანდეს მისი **პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით.** კონკრეტულად, დაუჭირა თუ არ დაუჭირა მხარი კანონპროექტს (მათ შორის კონსტიტუციურ კანონის პროექტს) რეზოლუციას, დადგენილებას, ვეტოს დაძლევას ან კანდიდატის არჩევას. დამატებით, მითითებული უნდა იყოს თავის შეკავების ან სხდომაზე არდასწრების შემთხვევები;
7. პარლამენტარმა უნდა უზრუნველყოს **ჩატარებული შეხვედრების შესახებ ანგარიშების** თავის პირად გვერდზე გამოქვეყნება.
8. მომხმარებლისთვის გამოტანილი უნდა იყოს **პარლამენტის წევრის ფინანსური მონაცემები.** ეს მოიცავს, როგორც მის მიერ შედგენილ დეკლარაციებს, აგრეთვე, პარლამენტის მიერ გაწეულ ხარჯებს, როგორც მისი აპარატის, მაჟორიტარის ბიუროს დაფინანსებისა, მივლინებებისა და სხვა პარლამენტის წევრთან დაკავშირებული, მათ შორის, თანამდებობრივ ხარჯებს. ამ მიზნით, www.declaration.gov.ge უნდა ინტეგრირდეს პარლამენტის ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ეკატერინე ციმაკურიძე
თავმჯდომარე

[i] ვებგვერდებიდან წარმოდგენილი ზოგიერთი სურათი (screenshot) არის თარგმანი ინგლისურ ენაზე.